

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №19

ქ. ახმეტა

11 ივლისი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა:

თ.ყეინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა:

რ.ბალაკაშვილი, ზ.გარსევანიძე, ნ.აბალოიძე
გ.ქიტესაშვილი, ი.უჯირაული, თ.ბოდაველი
მ.ალხანაშვილი, ბ.ჭიჭიკლიშვილი
ა.შათირიშვილი, ც.გრძელივანიშვილი

სხდომა გაიხსნა 15⁰⁰ სათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე თამარ ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს
გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. ზ. ალვანში, კულტურის სახლის შენობაში მდებარე 32.1კვ.მ საიჯარო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ააიპ სპორტული კლუბი „თუშეთის“ ფუნქციონირებისათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

/მომხსენებელი - ლუხუმი შეთევაური/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალების ა.ა.ი.პ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - ლუხუმი შეთევაური/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ შემოიტანა წინადადება დღის წესრიგის მეორე საკითხად „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის ჩასმის შესახებ.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის ცვლილებას, რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ინფორმაცია ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ:

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 06 ივლისის №1401 განკარგულების თანახმად ახმეტის მუნიციპალიტეტს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 491 910 ლარი, რის გამოც ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტით გათვალისწინებულია ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილის ზრდა 521 910 ათ. ლარით, მათ შორის იზრდება ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი 30 000 ლარი და ტრანსფერები 491 910 ლარით.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის შესახებ.

საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ლალი ებელაშვილმა განმარტა საკითხი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონის თანახმად, საჯარო მოხელეთა რანგირებასთან დაკავშირებით, კანონთან შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი

საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები. აღნიშნული დადგენილების მიღებით მოხდება აგრეთვე, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში საჯარო მოსამსახურეთა რანგირების და თანამდებობრივი სარგოების ერთიან სისტემატიზაციაში მოქცევა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას, რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინდეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. ზ. ალვარში, კულტურის სახლის შენობაში მდებარე 32.1კვ.მ საიჯარო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ააის სპორტული კლუბი „თუშეთის“ ფენქციონირებისათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს: აღნიშნული ფართი ააიპ „სპორტულ კლუბს“ ესაჭიროება ოფისისთვის. სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემის წლიური ჭირის საფასურია -117,0 ლარი. სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 3 (სამი) წელი.

სწორი და გამჭვიდომარიტუალუსის ყურადღება და აუცილებელი საკითხი, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მირითადი საშუალებების აქტიური წარმომადგენლობის აუტოსატრანსპორტო საშუალების ა.ა.ი.პ “ახმეტის მუნიციპალიტეტის კუთილმოწყობის და გარე განათების სამსახურისათვის” პირდაპირი განკარგვის წესით, უსასეადო და მართვის მიზანით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომზესინგბულმა გააცნო განკარგულების პროექტი ბიუროს წევრებს.

ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურს თავისი ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მიზნით ესაჭიროება სატვირთო ავტომობილი. ახმეტის საქმიანობის განხორციელების მიზნით ესაჭიროება სატვირთო ავტომობილი. ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადასცემს თავის საკუთრებაში არსებოლ სატვირთო ზორტიან ავტომობილს FORD TRANSIT, სახელმწიფო ნომრით SQ 401 SQ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რასაც ბიუროს დამსწრე წილებმა ართხმად დაუჭირეს მხარი.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა ბიუროს დამსწრე წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების თაყინება.

შილერის სხდომა დაიხურა 15³⁵ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



တာမာရ ပျော်ဝါဒ္ဓဘိလ္ထာ